**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**: აუდიოვიზუალური ხელოვნება

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი / Bachelor of Audiovisual Arts

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი

**სწავლების ენა:** ქართული

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**პროგრამის აღწერა:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში, გააცნოს მათ დარგში არსებული მსოფლიო გამოცდილება, თანამედროვე ტენდენციები თუ სტანდარტები და მომავლის გამოწვევები; განუვითაროს სტუდენტებს კვლევითი, ანალიტიკური, თეორიული, ექსპერიმენტული, პრაქტიკული და გამომხატველობითი უნარები, ესთეტიკის აღქმა, საკუთარი თვითგამოხატვის ფორმის პოვნა და კრიტიკული განსჯის უნარი.

შემოქმედებითი, ტექნიკური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები სპეციალობის ფარგლებში (სცენარი, კამერა, განათება, ხმა, მონტაჟი, ფერის კორექცია და ა.შ.); თანამედროვე ციფრული, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეთოდებისა და ხერხების შერჩევის უნარი კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში და მისი შემოქმედებითად გამოყენება. მზარდ ინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრებისა და ახალი ფორმატების ინტეგრირების უნარი მის შემოქმედებაში. მრავალფეროვანი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების დაუფლებით მრავალმილიონიან ინდუსტრიაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმება. (საერთაშორისო ფესტივალები, ინდუსტრიული მარკეტები, ფიჩინგები, ფილმის იდეის განვითარების ვორკშოპები და ა.შ.)

**პროგრამის მიზანი:**

საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს

მიზანი 1. შესძინოს ფართო ცოდნა აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიების, პრინციპების, დარგის განვითარების გზების, ძირითადი ტენდენციების და უახლესი ასპექტების შესახებ.

მიზანი 2. გამოუმუშაოს კრიტიკული და ანალიტიკური უნარები, რათა დაგეგმონ და დააორგანიზონ ინდივიდუალური/გუნდური პრაქტიკული და შემოქმედებითი სამუშაოები, პროექტის წარმოების პროცესში პრობლემის შეფასების და მისი გადაჭრის ოპტიმალური გამოსავლის მოძებნის უნარი.

მიზანი 3. გამოუმუშავოს სხვადასხვა აუდიოვიზუალური მეთოდის გამოყენებით შემოქმედებითი აზროვნების და მხატვრული სახეების შექმნის უნარი.

მიზანი 4. განუვითაროს შემოქმედებითი კონცეფციების და იდეების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად რეალიზაციის და დაფინანსების წყაროების მოძიების უნარი.

მიზანი 5. გამოუმუშავოს აუდიოვიზუალური ხელოვნების თეორიული ასპექტებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შექმნის უნარი.

მიზანი 6. გამოუმუშავოს არაპროგნოზირებად გარემოში ეთიკურ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის აღებისა და სამომავლო პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვის უნარი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს შემოქმედებითი ტურისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით აუდიოვიზუალური ხელოვნების კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

შემოქმედებითი კონკურსი – აბიტურენტი პროგრამზე ჩასარიცხად გაივლის შემოქმედებით ტურს, სადაც უნდა შეასრულოს წერილობითი, ფოტო და გრაფიკული ნამუშევარი მიცემულ თემაზე. ნამუშევარს შეაფასებს საგამოცდო კომისია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

**ცოდნა და გაცნობიერება**

ბაკალავრი:
**სწავლის შედეგი 1**. აღწერს და პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და ცოდნის უახლეს ასპექტებს.
**სწავლის შედეგი 2.** აყალიბებს დებულებებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ და მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს ისტორიის განვითარების გზებს, ძირითად ტენდენციებსა და კომპლექსურ საკითხებს.

**სწავლის შედეგი** **3.** განარჩევს ხელოვნების მიმდინარეობებსა და სტილებს, განასხვავებს დადგმითი/დოკუმენტური ფილმისა და მულტიმედია პროექტების წარმოების თავისებურებებს.

**უნარი**

ბაკალავრი:
**სწავლის შედეგი 4**. გეგმავს და აორგანიზებს ინდივიდუალურ და გუნდურ პრაქტიკულ და შემოქმედებით სამუშაოს (გადასაღებ სივრცეს). დამოუკიდებლად ავითარებს შემოქმედებით ჩანაფიქრს და გუნდის წევრებს გადასცემს საკუთარ შემოქმედებით იდეებს. იღებს და წარადგენს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ხერხით.
**სწავლის შედეგი 5.** პროექტის წარმოების პროცესში აფასებს პრობლემას და პროგნოზირებს შედეგებს. მისი გადაჭრის მეთოდებიდან გამომიდინარე, ირჩევს ოპტიმალურ გამოსავალს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას.
**სწავლის შედეგი 6.** მოიძიებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ფონდებს საკუთარი პროექტების რეალიზაციისა და დაფინანსებისთვის.
**სწავლის შედეგი 7.** შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერიმენტირებს და ინტერპრეტირებს თხრობის გზებით და ფორმებით, ქმნის მხატვრულ სახეებს მიზანსცენის, რიტმული მონტაჟის, კადრირების, ხმოვან-პოლიფონიური რიგით, განათებისა და სხვა აუდიოვიზუალური მეთოდებით. მიზანსცენის და კამერის მოძრაობის საშუალებით აგებს აუდიოვიზუალური ხელოვნების პროდუქტის კონკრეტულ და ერთიან ვიზუალურ სტრუქტურებს;
**სწავლის შედეგი 8.** აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში არსებულ გამოწვევებს, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე აყალიბებს საავტორო კონცეფციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს საზოგადოებას;
**სწავლის შედეგი 9.** ეფექტურად იყენებს დარგობრივ კომპიუტერულ პროგრამებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს.
**სწავლის შედეგი 10**. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ქმნის კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

ბაკალავრი:
**სწავლის შედეგი 11.** ავტონომიურად გეგმავს, წარმართავს და აფასებს სწავლის პროცესს და განსაზღვრავს აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ცოდნის მუდმივად განახლების საჭიროებებს.

**სწავლის შედეგი 12.** პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს, არაპროგნოზირებად გარემოში დამოუკიდებლად ან/და გუნდში იღებს პასუხისმგებლობას შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

| აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიზნები/ სწავლის შედეგები | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 2 | სწავლის შედეგი 3 | სწავლის შედეგი 4 | სწავლის შედეგი 5 | სწავლის შედეგი 6 | სწავლის შედეგი 7 | სწავლის შედეგი 8 | სწავლის შედეგი 9 | სწავლის შედეგი 10 | სწავლის შედეგი 11 | სწავლის შედეგი 12 |
| მიზანი 1. | X | X | X | | | | X | X | | | | |
| მიზანი 2. | | | | X | X | | X | X | | X | | |
| მიზანი 3. | | X | | | X | | | X | X | | | |
| მიზანი 4. | | | X | | | X | | | X | | | |
| მიზანი 5. | X | | | | | | X | | | X | X | X |
| მიზანი 6. | | | | X | | X | | | | | X | X |

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- სხვა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს — შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

(A) ფრიადი — შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი — მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი — მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი — მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი — მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა — მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა — მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

აუდიო ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

აუდიო ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. აუდიო ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, მოიცავს კვლევით და პრაქტიკულ ნაშრომს. აღნიშნული კომპონენტი სრულდება აუდიო ვიზუალური ხელოვნების დარგში და ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

**დასაქმების სფერო:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კრეატიულ ინდუსტრიაში, სამაუწყებლო კომპანიებში, პროდაქშენის და პოსტ-პროდაქშენ სტუდიებში და ასევე ბიზნეს და არასამთავრობო სექტორში და სახელმწიფო ინსტიტუციებში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აუდიო ვიზუალური ხელოვნების ან ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**პორტფოლიო და სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა:**

სტუდენტი პირველივე კურსის ბოლოს ქმნის **პორტფოლიოს**, სადაც შემოქმედებითი კონცეფციის ქვეშ აერთიანებს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დროს შექმნილ ნამუშევრებს; ნამუშევრებს სტუდენტი წარმოადგენს ვებ სივრცეში ციფრული თხრობის ხერხების გამოყენებით. სტუდენტის პორტფოლიო მონაწილეობს ყოველწლიურ განხილვაში, სადაც დარგის მოწვეული პროფესიონალები ირჩევენ სამ საუკეთესო პორტფოლიოს ავტორს და ანიჭებენ სტიპენდიას. სწავლის საფასურის დაფინანსების მოპოვების მიზნით სტუდენტი ვალდებულია მინიმუმ წელიწადში ერთხელ (პორტფოლიოს განხილვის თარიღამდე) განაახლოს საკუთარი პორტფოლიო კურსების ფარგლებში ახლადშექმნილი ნამუშევრებით.
პორთფოლიო უნდა შეიცავდეს სტუდენტის შემოქმედებით/პროფესიულ ბიოგრაფიას.

**სწავლის დასრულებისთვის პორტფოლიო უნდა შეიცავდეს მინიმუმ ხუთ პრაქტიკულ ნამუშევრს. სავალდებულო ფორმატებია:**

- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი;
- საარქივო ფილმი;
- ექსპერიმენტული/არაკონვენციური ფილმი
- ტრანსმედიური პროექტი;

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.
- არაკონვენციური ფილმი;

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული ლექტორები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა ასევე ფლობს ყველა საჭირო ტექნიკას, ლაბორატორიებს სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის. მათ შორის უახლეს აპარატურას ვიდეო გადაღებებისათვის, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ლაბორატორიას CG MULTILAB, ფოტო ლაბორატორიას და ვიდეო სტუდიას.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი —** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა —** უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული ლექტორი და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე —** აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები —** აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, (Adobe Creative Suite, pro tools, nuendo 12  Izotope RX 9, Adobe Animate, Adobe aero, Adobe Xd, Microsoft Office, DaVinci Resolve, Adobe Captivate, Altiverb 7 XL, total bundle, auto-align post 2).
არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული ლექტორი და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა — lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**სოსო დუმბაძე, პროფესორი**

მარი ბროსეს ქ. # 2
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 592 616 399
e-Mail: s.dumbadze@gipa.ge

**ელენე ასათიანი, ასისტენტ- პროფესორი**

მარი ბროსეს ქ. #2
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 599 930 555
e-Mail: e.asatiani@gipa.ge

**პროგრამის სტრუქტურა:**

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება რვა სემესტრისგან, რომლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 240 კრედიტს. პროგრამის მანძილზე სტუდენტს აქვს სავალდებულო და არჩევითი, ასევე ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის გარეთ სხვა საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში თავისუფალი კრედიტების დაგროვების საშუალება.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა:

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი \ მოდული | ECTS კრედიტი/საათი | | | | | | | | სტუდენტების სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | | **სავალდებულო საგნები** | **26** | **26** | | | | | | | | |
| 1 | AVA 100 | არ აქვს | მსოფლიო კინოს ისტორია 1 | 4/100 | | | | | | | | 36 | 64 |
| 2 | AVA 101 | არ აქვს | შემოქმედებითი აზროვნების საფუძვლები | 4/100 | | | | | | | | 36 | 64 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | AVA 102 | არ აქვს | ფოტოგრაფია / adobe photoshop | 4/100 | | | | | | | | 48 | 52 |
| 4 | AVA 103 | არ აქვს | ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება | 4/100 | | | | | | | | 36 | 64 |
| 5 | AVA 104 | არ აქვს | შესავალი ფსიქოლოგიაში | 4/100 | | | | | | | | 36 | 64 |
| 6 | AVA 105 | არ აქვს | სახელოსნო: კიბერკულტურა | 6/150 | | | | | | | | 34 | 116 |

1კრედიტი — ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
2სტუდენტის სასწავლო დატვირთვა — დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
3საკონტაქტო საათები — საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.
4დამოუკიდებელი საათები — საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | AVA 106 | AVA 100 | მსოფლიო კინოს ისტორია 2 | | 4/100 | | | | | | | 36 | 64 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | AVA 107 | AVA 102 | ლაბორატორია: ვიდეო არტი და მონტაჟი / Adobe Premiere Pro | | 4/100 | | | | | | | 48 | 52 |
| 9 | AVA 108 | არ აქვს | ამბის თხრობის სტარტეგიები | | 4/100 | | | | | | | 36 | 64 |
| 10 | AVA 109 | არ აქვს | აკადემიური წერა | | 4/100 | | | | | | | 36 | 64 |
| 11 | AVA 110 | AVA 103 | პროექტის მართვა | | 4/100 | | | | | | | 36 | 64 |
| 12 | AVA 111 | არ აქვს | სახელოსნო: ვიდეო მინიატურა | | 6/150 | | | | | | | 36 | 114 |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი** | 4 | 4 | 4 | 4 | | | | | | |
| 13 | ENG 1 | პრეტესტი | ინგლისური 1 | 4/100 | | | | | | | | 48 | 52 |
| 14 | ENG 2 | ENG 1 | ინგლისური 2 | | 4/100 | | | | | | | 48 | 52 |
| 15 | ENG 3 | ENG 2 | ინგლისური 3 | | | 4/100 | | | | | | 48 | 52 |
| 16 | ENG 4 | ENG 3 | ინგლისური 4 | | | | 4/100 | | | | | 48 | 52 |
| | | | **სავალდებულო საგნები** | | | **26** | **26** | **30** | **32** | **8** | **26** | | |
| 17 | AVA 112 | არ აქვს | საოპერატორო ხელოვნება 1 | | | 4/100 | | | | | | 36 | 64 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | AVA 113 | AVA 110 | პროდიუსირება 1 | | | 4/100 | | | | | | 36 | 64 |
| 19 | AVA 114 | არ აქვს | ხმის დიზაინი 1 | | | 4/100 | | | | | | 36 | 64 |
| 20 | AVA 115 | არ აქვს | სცენარის წერის ტექნიკა | | | 4/100 | | | | | | 36 | 64 |
| 21 | AVA 116 | AVA 108 | კინომონტაჟის ასპექტები | | | 4/100 | | | | | | 36 | 64 |
| 22 | AVA 117 | AVA 108 | სახელოსნო: სცენარი | | | 6/150 | | | | | | 36 | 114 |
| 23 | AVA 118 | არ აქვს | დოკუმენტური კინოს ტრენდები | | | | 4/100 | | | | | 36 | 64 |
| 24 | AVA 119 | AVA 112 | საოპერატორო ხელოვნება 2 | | | | 4/100 | | | | | 36 | 64 |
| 25 | AVA 120 | AVA 114 | ხმის დიზაინი 2 | | | | 4/100 | | | | | 36 | 64 |
| 26 | AVA 121 | არ აქვს | თანამედროვე ხელოვნება | | | | 4/100 | | | | | 36 | 64 |
| 27 | AVA 122 | არ აქვს | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | | | | 4/100 | | | | | 36 | 64 |
| 28 | AVA 123 | AVA 112<br>AVA 114<br>AVA | სახელოსნო: დოკუმენტური ფილმის წარმოება | | | | 6/150 | | | | | 48 | 102 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 117 | | | | | | | | | | | |
| 29 | AVA 124 | AVA 107 AVA 108 AVA 116 | პოსტპროდუქცია 1 | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 30 | AVA 125 | არ აქვს | ციფრული თხრობა | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 31 | AVA 126 | AVA 113 | პროდიუსირება 2 | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 32 | AVA 127 | AVA 105 | კომპიუტერული არტი | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 33 | AVA 128 | AVA 110 | მარკეტინგის საფუძვლები | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 34 | AVA 129 | არ აქვს | შესავალი მითოლოგიაში | | | | | 4/100 | | | | 36 | 64 |
| 35 | AVA 130 | AVA 105 AVA 119 AVA 120 AVA 123 | სახელოსნო: ტრანსმედია პროექტი | | | | | 6/150 | | | | 36 | 114 |
| 36 | AVA 131 | AVA 107 | ლაბორატორია: Adobe Illustrator, | | | | | | 4/100 | | | 48 | 52 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | After effects | | | | | | | | | | |
| 37 | AVA 132 | AVA 108 AVA 111 AVA 123 | არაკონვენციური კინოფორმები | | | | | | 4/100 | | | 36 | 64 |
| 38 | AVA 133 | არ აქვს | მუსიკა კინოში | | | | | | 4/100 | | | 36 | 64 |
| 39 | AVA 134 | AVA 110 AVA 128 | შემოქმედებითი მეწარმეობა | | | | | | 4/100 | | | 36 | 64 |
| 40 | AVA 135 | AVA 101 AVA 105 | ანიმაციური თხრობა | | | | | | 4/100 | | | 36 | 64 |
| 41 | AVA 136 | AVA 108 AVA 117 | სცენარი და კადრირება / მხატვრობა კადრირებისთვის | | | | | | 6/150 | | | 60 | 90 |
| 42 | AVA 137 | AVA 108 AVA 111 AVA 123 | სახელოსნო: არაკონვენციური კინოფორმები | | | | | | 6/150 | | | 36 | 114 |
| 43 | AVA 138 | AVA 107 AVA | პოსტპროდუქცია 2 / ფერის კორექცია | | | | | | | 4/100 | | 36 | 64 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 124 | | | | | | | | | | | |
| 44 | AVA 139 | AVA 115 AVA 117 | ლაბორატორია: მსახიობთან მუშაობა | | | | | | | 4/100 | | 36 | 64 |
| 45 | AVA 140 | AVA 126 ENG 4 | საფესტივალო და საგამოფენო სტრატეგია | | | | | | | | 5/125 | 36 | 89 |
| 46 | AVA 141 | AVA 111 AVA 117 AVA 123 AVA 130 AVA 137 | ფინალური პროექტის კოლოქვიუმი | | | | | | | | 6/150 | 36 | 114 |
| 47 | AVA 142 | AVA 111 AVA 117 AVA 119 AVA 120 AVA 123 AVA 126 | ფინალური პროექტი: თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი | | | | | | | | 15/375 | 36 | 339 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | AVA 130<br>AVA 137<br>AVA 138 | | | | | | | | | | | |
| | | | **არჩევითი დარგობრივი საგნები** | | | | | | | **20** | | | |
| 48 | AVAE 100 | არ აქვს | მედიასემიოტიკა და ვიზუალური სემიოტიკის საკითხები | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |
| 49 | AVAE 101 | AVA 126 | კინოწარმოების მენეჯმენტი | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |
| 50 | AVAE 102 | AVA 101<br>AVA 136<br>ENG 4 | კინო-მხატრობა | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |
| 51 | AVAE 103 | AVA 108<br>AVA 117<br>AVA 136 | მოკლე ფილმის წარმოება | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 52 | AVAE 104 | AVA 115 AVA 117 AVA 136 AVA 111 AVA 123 AVA 130 AVA 137 | სახელოსნო: მოკლე ფილმი | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |
| 53 | AVAE 105 | AVA 113 AVA 126 | ვიდეო ინსტალაცია და Expanded cinema | | | | | | | 5/125 | | 36 | 89 |
| | | | *არჩევითი საგნები (თავისუფალი კომპონენტი)*[1] | | | | | | | **4** | | | |
| 54 | **AVAE 106** | AVA 104 | კომუნიკაციის ფსიქოლოგია | | | | | | | 4/100 | | 36 | 64 |
| 55 | **AVAE 107** | არ აქვს | საქართველო - უახლესი ისტორიის | | | | | | | 4/100 | | 32 | 68 |

[1] სტუდენტს შესაძლებობა აქვს თავისუფალი კომპონენტით გათვალისიწნებული კრედიტები აითვისოს უნივერსიტეტის სხვა საბაკლავრო პროგრამების სასწავლო კურსების გავლით.

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პროცესები | | | | | | | | | | |
| 56 | **AVAE 108** | არ აქვს | თანამედროვე აზროვნება | | | | | | | 4/100 | | 30 | 70 |
| 57 | **AVAE 109** | არ აქვს | ვიზუალური ანთროპოლოგია | | | | | | | 4/100 | | 36 | 64 |
| 58 | **AVAE 110** | არ აქვს | გერმანული ენა | | | | | | | 4/100 | | 32 | 68 |
| 59 | **AVAE 111** | არ აქვს | შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიები | | | | | | | 4/100 | | 36 | 64 |

**კურიკულუმის რუკა:**

კურიკულუმის რუკაში პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით.

საგნები ჩაშლილია სამ დონედ:

ა) გაცნობაზე ორიენტირებული კურსები (I-Introduction)

ბ) გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები (D -Development)

გ) განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები (M – Mastering).

საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი დონის აღმნიშვნელი ინდიკატორი – I, D ან M.

პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. თუ რომელიმე საგნის შესწავლა იწვევს რომელიმე შედეგზე გასვლას, საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი შედეგობრივი ინდიკატორი – I, D, M.

| | აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლის შედეგი | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 2 | სწავლის შედეგი 3 | სწავლის შედეგი 4 | სწავლის შედეგი 5 | სწავლის შედეგი 6 | სწავლის შედეგი 7 | სწავლის შედეგი 8 | სწავლის შედეგი 9 | სწავლის შედეგი 10 | სწავლის შედეგი 11 | სწავლის შედეგი 12 |
| კურსის დასახელება | თითოეული სწავლის შედეგისა და კურსის თანხვედრა | | | | | | | | | | | |
| მსოფლიო კინოს ისტორია 1 | I | I | | | | | | | | | I | I |
| შემოქმედებითი აზროვნების საფუძვლები | | | | I | I | | | I | | I | | |
| ფოტოგრაფია/ Adobe Photoshop | I | I | I | | | | | I | I | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინფორმაციული<br>და ციფრული წიგნიერება | | | | I | | | | | I | | I | |
| შესავალი ფსიქოლოგიაში | | | | | I | | | | | | I | |
| *სახელოსნო: კიბერკულტურა | | | | I | | | | | | I | I | I |
| მსოფლიო კინოს ისტორია 2 | I | I | I | | | | I | | | | I | I |
| ლაბორატორია: ვიდეო არტი<br>და მონტაჟი / Adobe Premiere<br>Pro | | | | | I | | I | | I | | | |
| ამბის თხრობის სტარტეგიები | I | I | I | | I | | I | | | | | |
| აკადემიური წერა | | | | | | | | I | | I | | I |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის მართვა | | | | I | | I | | | | | | |
| *სახელოსნო:<br>ვიდეო მინიატურა | | | | I | I | | I | | I | | I | I |
| ინგლისური 1 | | | | | | | | I | | | | |
| ინგლისური 2 | | | | | | | | I | | | | |
| ინგლისური 3 | | | | | | | | D | | | | |
| ინგლისური 4 | | | | | | | | D | | | | |
| საოპერატორო ხელოვნება 1 | I | | | | | | I | | I | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროდიუსირება 1 | | | | I | | I | | | | | I | D |
| ხმის დიზაინი 1 | I | | I | | | | I | | I | | I | |
| სცენარის წერის ტექნიკა | I | I | I | | I | | I | | | | | |
| კინომონტაჟის ასპექტები | I | I | I | | I | | I | | | I | | |
| თანამედროვე ხელოვნება | I | I | I | | | | | | | | | |
| ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | | | | | I | | | | | | I | |
| შესავალი მითოლოგიაში | | | | | | | | | | | I | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომპიუტერული არტი | I | | I | | I | | | I | I | | | |
| * სახელოსნო: სცენარი | | | D | D | D | | D | D | | | D | D |
| დოკუმენტური კინოს ტრენდები | D | D | D | | | | | | | D | D | |
| საოპერატორო ხელოვნება 2 | D | | | | | | D | | D | D | | D |
| ხმის დიზაინი 2 | | | | D | | | D | | D | D | D | |
| *სახელოსნო: დოკუმენტური ფილმის წარმოება | | | D | D | | | D | D | D | D | | D |
| პოსტპროდუქცია 1 | | | | | D | | D | | D | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ციფრული თხრობა | D | D | D | | | | | | | | | D |
| პროდიუსირება 2 | | | | D | D | D | | D | | | D | D |
| მარკეტინგის საფუძვლები | D | | | | | | | D | | | D | |
| *სახელოსნო:<br>ტრანსმედია პროექტი | M | M | M | M | | | M | M | M | M | | |
| ლაბორატორია:<br>Adobe Illustrator;<br>After effects | | | | | D | | | | D | | | |
| არაკონვენციური<br>კინოფორმები | D | D | D | | | D | | | | | | |
| მუსიკა კინოში | D | D | D | | | | D | | | | | D |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოქმედებითი მეწარმეობა | M | | | | | M | | M | | | M | |
| ანიმაციური თხრობა | D | | D | D | D | | D | D | D | | | |
| სცენარი და კადრირება / მხატვრობა კადრირებისთვის | D | | D | | | | D | | | D | | |
| *სახელოსნო: არაკონვენციური კინოფორმები | M | M | M | | M | | M | | | M | | |
| პოსტპროდუქცია 2 / ფერის კორექცია | M | | | | M | | M | M | M | | M | |
| ლაბორატორია: მსახიობთან მუშაობა | | M | | M | | | M | | | | | |
| საფესტივალო და | M | M | | | | M | | M | | | | M |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგამოფენო სტრატეგია | | | | | | | | | | | | |
| ფინალური პროექტის კოლოქვიუმი | | | | M | M | | M | M | | | | |
| ფინალური პროექტი: თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი | M | M | M | M | M | | M | M | M | M | M | M |

**დანართი 2**
**პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე**

**სოსო დუმბაძე, პროფესორი**

მარი ბროსეს ქ. # 2
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 592 616 399
e-Mail: s.dumbadze@gipa.ge

**სამუშაო გამოცდილება:**

პროფესორი — საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა);
ხელმძღვანელი — საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.;
თავისუფალი კინოავტორი და მედიახელოვანი

**სამეცნიერო კვლევის სფეროები:**

დოკუმენტური ფილმი, ესეი ფილმი, Found Footage ფილმი, კომპილაციური ფილმი, ექსპერიმენტული ფილმი, საბჭოთა და ქართული კინოავანგარდი, კინომონტაჟი

**განათლება:**

2014-2020 ჰამბურგის სახვითი ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი (University of Fine of Hamburg)
სახეობა: დისერტაცია
ფაკულტეტი: სახვითი ხელოვნება
თეორიული ნაშრომი: »დროის ბომბები«
ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი ხელოვნების დარგში (Dr. phil. in art.)

2004-2011 კელნის მედიების ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი (Academy of Media Arts Cologne)
ფაკულტეტი: მედიალური ხელოვნებები, კინო განხრა
სახეობა: MA დიპლომი

2002-2004 ბოხუმის რურის უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: მედიამცოდნეობა

1998-2004 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი
ფაკულტეტი: ხეოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი
განხრა: კინო-ტელესარეჟისორო

**სტიპენდიები, დაფინანსებები და ჯილდოები:**

2023 გოეთეს ინსტიტუტი: ვაიმარის კულტურსიმპოზიუმის სტიპენდია
2022 კინოჯილდო: CinéDOC-Tbilisi Film Support Award Programme
2021 კინოდაფინანსება: საქართველოს ეროვნული კინოცნეტრი
2018 კინოჯილდო: Special Mention, CinéDOC-Tbilisi
2014-2020 დისერტაციის დაფინანსება: ფრიდრიხ-ებერტის-ფონდის სტიპენდია
2013 კინოდაფინანსება: საქართველოს ეროვნული კინოცნეტრი
2010 კინოდაფინანსება: Arts and Culture Network Program, Open Society Institute (ბუდაპეშტი)
2009-2011 სწავლების დაფინანსება: ფრიდრიხ-ებერტის-ფონდის სტიპენდია
2006-დან 80-მდე სხვადასხვა საერთაშორისო და ლოკალური ინსტიტუციის დაფინანსება / ხელშეწყობა საგამომცემლო საქმიანობისთვის

**პუბლიკაციები:**

- Сергей Третьяков: „«Сванетия» и другие очерки о Грузии“, Общественное издательство Са.Га., Тбилиси, 2022. გამომცემელი
- David Wittenberg: »Film und Text«, Sa.Ga. Verlag für die Gesellschaft, Tbilissi / Köln, 2020. ტექნიკური გამომცემელი, გამომცემლის ასისტენტი
- თეოდორ ვ. ადორნო, »ესთეტიკური თეორია«, სა.გა., თბილისი, 2019. ტექნიკური გამომცემელი
- Soso Dumbadze and Nino Dzandzava »Kote Mikaberidze«, Sa.Ga. Publishing for Society, Tbilisi, 2018. ავტორი და თანაგამომცემელი (პრეზენტაციები: გერმანიის კინომუზეუმი (ფრანკფურტი), ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, Centre Georges Pompidou (პარიზი) 2019, ჰამბურგის კინოთეატრი »მეტროპოლისი« 2019 და სხვა).
- Сергей Эйзенштейн: «Стенограммы режиссерских семинаров 1933-1935», Общественное издательство Са.Га., Тбилиси, 2017. ტექნიკური გამომცემელი, გამომცემლის ასისტენტი
- სოსო დუმბაძე და ნინო ძანძავა »კოტე მიქაბერიძე«, სა.გა., თბილისი, 2017. ავტორი და თანაგამომცემელი
- პიერ პაოლო პაზოლინი: »ლუთერული წერილები«, სა.გა., თბილისი, 2016. გამომცემელი
- კრის მარკერი, თომას ტოდე, ჰარუნ ფაროკი: »პოლიტიკური ესეი ფილმი«, სა.გა., თბილისი, 2015. გამომცემელი
- დევი დუმბაძე: »იდეოლოგია და არარეგლამენტირებული გამოცდილება«, სა.გა., თბილისი / ნიუ-იორკი, 2015. ტექნიკური გამომცემელი
- გერმანე გოგიტიძე: »ქართული კინოს წარსულიდან«, სა.გა., თბილისი, 2013. გამომცემელი
- სერგეი ეიზენშტეინი: »ინტელექტუალური მონტაჟი«, სა.გა., თბილისი, 2013. გამომცემელი
- ძიგა ვერტოვი: »ადამიანი კინოაპარატით«, სა.გა., თბილისი, 2013. გამომცემელი

- თეოდორ ვ. ადორნო, მაქს ჰორკჰაიმერი: »განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფიური ფრაგმენტები«, სა.გა., თბილისი, 2012. ტექნიკური გამომცემელი
- აბას ქიაროსთამი: »ქარის მხარდამხარ«, სა.გა., თბილისი, 2009. გამომცემელი
- აკა მორჩილაძე: »კაგდატა ინ ჯორჯია«, სა.გა., თბილისი, 2008. გამომცემელი
- რეზო კვესელავა: »მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე«, სა.გა., თბილისი, 2008. გამომცემელი და რედაქტორი
- ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია: »რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ »შეშლილ-ობა«?«, სა.გა., თბილისი, 2007. გამომცემელი
- ვალტერ ბენიამინი: »ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში | ისტორიის ცნების შესახებ«, სა.გა., თბილისი, 2007. თანაგამომცემელი
- ჰანს ბელერი: »კინომონტაჟის ასპექტები«, სა.გა., თბილისი, 2006. გამომცემელი

**სამეცნიერო საქმიანობა:**

2019 მოხსენების »კოტე მიქაბერძე« რეფერენტი
Centre Georges Pompidou (პარიზი)
გამოფენის »Rouge. Art et Utopie au Pays des Soviets«, პარიზი ფარგლებში

2017 / 2018 წინასიტყვაობის ავტორი წიგნისთვის »კოტე მიქაბერიძე«, სა.გა., თბილისი
ენა: ქართული და ინგლისური

2016 ესეის ავტორი: »მოპარული იდენტობა. ებრაელობის ხუთი ასპექტი«
თემა: ებრაული იდენტობა პოსტსაბჭოთა მოქალაქეებისა გერმანიაში
ენა: გერმანული
შენიშვნა: ესეი ნაწილია კონკურსის »სხვა წარმოშობა« და განკუთვნილია კვლევისთვის მიგრაციის ბორის ბახმეტევფის არქივისთვის ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში

2013 ავტორი სტატიის: »კინოავანგარდის აქტუალობა. რამდენიმე შენიშვნა ირინე რატიანის დისერტაციაზე: »ხელოვნებათა ურთიერთკავშირი ქართულ კულტურაში (არახმოვანი ფილმის მაგალითზე, 1912-1934 წლები)«
გამოქვეყნება: ონლაინ-პალტფორმა »ბურუსი«

2009 ბოლოსიტყვაობის ავტორი წიგნისთვის »ქარის მხარდამხარ«, აბას ქიაროსთამი, სა.გა., თბილისი

2008 წინასიტყვაობის ავტორი წიგნისთვის »მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე«, რეზო კვესელავა, სა.გა., თბილისი

2007 ლექტორი მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში, თბილისი

2006-2007 სემინარის რეფერენტი: »კინომონტაჟის ასპექტები«
ერთი სემესტრი, მასმედიისა და კომუნიკაციების ინსტიტუტი, თბილისი

2006 ვორკშოფის რეფერენტი: »საბჭოთა კინომონტაჟი«
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

**სახელოვნებო საქმიანობა (სელექცია):**

2021-დან »ვადაგასული საქმე«, Found Footage ესეი ფილმი
124' | 2D DCP Master | ფერადი, შავ-თეთრი | ხმა | 4:3
ერთობლივი ნამუშევარი ელენე ასათიანთან ერთად
დაფინანსება: საქართველოს ეროვნული კინოცნეტრი
ჯილდოები: CinéDOC-Tbilisi Film Support Award Programme 2022
პოსტ პროდუქციის პროცესში

2022 »იმიტირებული სასამართლო«, ექსპერიმენტული პროექტი საქართველოს სამოქალაქო ომზე ავთენტური გმირებით
დაფინანსებები: Propaganda.network

2017 »Trance-formation«, ვიდეოინსტალაცია, 3-არხი
გამოფენები: 13.10.-03.11.2017, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი
დაფინანსებები: ნორდრაინ და ვესტფალენის კულტურის და მეცნიერების სამინისტროს ეინშტეინის ფონდი ბერლინი, Institute for Foreign Relations IFA. გერმანიის საელჩო საქართველოში

2017 »მზიანი ღამე«, Found Footage ესეი ფილმი
85' | 2D DCP Master | ფერადი, შავ-თეთრი | ხმა | 4:3
ერთობლივი ნამუშევარი ლეა ჰარტლაუბთან ერთად
Blinker Filmproduktion GmbH und მაიკე მარტენსის დახმარებით
დაფინანსება: საქართველოს ეროვნული კინოცენტრი
ფესტივალები და ჩვენებები: Dok-Leipzig 2017, CinéDOC 2018, Apricot Tree Ujan International Film Festival 2018, ჰამბურგის კინოთეატრი »მეტროპოლისი« 2019 და სხვა
ჯილდოები: Special Mention, CinéDOC-Tbilisi 2018

2017 »ყვითელი ავტობული«, ვიდეოინსტალაცია, 15-არხი
გამოფენები: 02.06.-17.07.2017 alpha nova & galerie futura, ბერლინი; 08.-10.06.2018 ნატო ვაჩნაძის ქუჩა, თბილისი, გალერეა ფაბრიკა თბილისი; 15.11.-15.12.2019 Künstlerhaus Bethanien ბერლინი; 26.06.2020 ონლაინ-გამოფენა, გოეთეს ინსტიტუტი საქართველო; 30.06.-06.09.2020 The Art and Exhibition Hall of the Federal Republic of Germany (Bundeskunsthalle); 24.06.-21.08.2022 Kunsthaus Dresden, Robotron-Kantine-ში
დაფინანსება: ფრიდრიხ-ებერტის-ფონდი, Equality Movement, Women's Initiatives Supporting Group; Propaganda.network.
რეცენზიები: ჟურნალი Frieze, გაზეთი Frankfurter Allgemeine Zeitung და სხვა

2015 »პარალელი«, ვიდეოინსტალაცია, 2-არხი
გამოფენები: 27.11.2015-10.01.2016 Haus am Lützowplatz, ბერლინი; 29.01.-06.03.2016 The Art and Exhibition Hall of the Federal Republic of Germany (Bundeskunsthalle)

2014 »სანთელი«, ვიდეოინსტალაცია, 4-არხი
გამოფენები: 10.-05.06.2014 New Talents – Biennale Cologne 2014
დაფინანსება: TBC-ბანკი საქართველო

2011 »პარალელები ერთ ომზე«, ვიდეოინსტალაცია, 12-არხი
გამოფენები: 08.-10.03.2012 ტრინიტატის ეკლესია კელნი, 17.04.-22.04.2012 Art Cologne 2012
შესყიდვა: ქალაქ კელნის კოლექციისათვის დოქ. ბარბარა ენგელბახის კურატორობით Ludwig Museum-იდან

**ელენე ასათიანი, სისტენტ პროფესორი**

მარი ბროსეს ქ. #2
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 599 930 555
e-Mail: e.asatiani@gipa.ge

**სამუშაო გამოცდილება**

2021-დან საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA
ასისტენტ პროფესორი

2013-2020 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA
სტუდენტური მედიის მენეჯერი. ლექტორი.

2017-2021 ჯავახეთის პროექტები

2017-2018 ინტერნიუსი საქართველო
პროექტის "დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში" რეგიონული რედაქტორი.

2015-2016 indigo.com.ge – რედაქტორი, ვებ გვერდისა და სოციალური მედიის რედაქტორი

2012-2014 ლიტერატურული პრემია "საბა"
ვებ გვერდის saba.com.ge რედაქტორი, სოციალური მედიის მენეჯერი.

2012-2013 მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; პროექტი "სამცხე-ჯავახთსა და ქვემო ქართლში ახალგაზრდების ინტეგრაცია კულტურისა და საგანმანათლებლო გზით" დოკუმენტური ფილმის სახელოსნოს ხელმძღვანელი.

2009-2012 ჟურნალები „ცხელი შოკოლადი" და „ლიბერალი"
ვებგვერდების www.liberali.ge, www.shokoladi.ge რედაქტორი;

2007-2013 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA
სამაუწყებლო ჟურნალისტიკა, ტელე-რეჟისურისა და მონტაჟის ლექტორი;

2005-2006 აუდიო-ვიდეო კომპანია „ვიდეოსკოპი“
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის მენეჯერი;

2004-2005 სტუდია 99
კასტინგის მენეჯერი, რეჟისორის ასისტენტი;

2002-2003 პირველი არხი
შოუს „იმღერე რამე“ მეორე რეჟისორი;

2001 ტელეკომპანია „იმედი“
პროდიუსერის ასისტენტი; რეჟისორის ასისტენტი;

**განათლება**

2003-2004 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA
ჟურნალისტისა და მედია მენეჯერის მაგისტრის ხარისხი;

1998-2002 შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეატრისა და კინოს და სატელევიზიო გადაცემების რეჟისორი, ბაკალავრის ხარისხი;

**ტრენინგები და სახელოსნოები**

2010 The Edit Center New York
მხატვრული და დოკუმენტური ფილმის დრამატურგია და მონტაჟი.

2009 პროფესორ ბორის ფრუმინის (NYU) სახელოსნო რეჟისურასა და სცენარის წერის ტექნიკაში.

2007 დოკუმენტური ფილმების სახელოსნო „ვარანი“
ფილმის სცენარი და რეჟისურა.

**ფილმები**

2023 ვადაგასული საქმე / სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რეჟისორი

2022 კავკასიონის ხუთი ხედი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის მონტაჟის რეჟისორი

2021 მეოთხე ბრაიტონი – რეჟ. ლევან კოღუაშვილი, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, მონტაჟის რეჟისორი.

2021 10 მოკლემეტრაჟიანი ფილმი საქართველოს შესახებ – გიორგი კეკელიძისა და ნათელა გრიგალაშვილის ფილმების მონტაჟის რეჟისორი.

2021 მათი ხეობა, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის რეჟისორი / კამერა / მონტაჟის რეჟისორი.

2021 Herzenswege/ მონტაჟის რეჟისორი, მხატვრული ფილმი, რეჟისორი რუსუდან გაფრინდაშვილი

2020 Dead Souls 'Vacation – კეკო ჭელიძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, მონტაჟის რეჟისორი.

2020 ოქროს ძაფი – მხატვრული ფილმი, რეჟისორი ლანა ღოღობერიძე, მონტაჟის რეჟისორი

2019 სხვა მეზობლები, დოკუმენტური ფილმი ველური ბუნების შესახებ თბილისში, მონტაჟის რეჟისორი

2017 ჯარა რეჟ. ნიკა წიკლაური/მონტაჟის რეჟისორი, დოკუმენტური ფილმი ადამიანისა და ბუნების თანაცხოვრების შესახებ. გადაღებულია მაღალმთიან აჭარაში. /

2016 გოგიტას ახალი ცხოვრება რეჟ. ლევან კოღუაშვილი /მონტაჟის რეჟისორი, ყოფილი პატიმარი ცდილობს ცხოვრების თავიდან დაწყებას. დოკუმენტური ფილმი არჩეულია IDFA-ს 2016 წლის საკონკურსო პროგრამაში./

2015 ნინოს გზა /რეჟისორი, ოპერატორი. დოკ. ფილმი მომლოცველობითი მოგზაურობის შესახებ ჯავახეთში /

2015 სარეკლამო რგოლი, Lagidze Gallery, /რეჟისორი/

2014 ხუდონი /კურატორი. დიზაინერი. ტრანსმედია პროექტი ხაიშის თემისა და იქ მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის შესახებ/

2013 ცოცხლად მოყოლილი ამბები – მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ / დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირები არიან საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი ქალები და მათი ოჯახები/

2012 სიცოცხლის ფასი” რეჟ. ლევან კიტია/ მონტაჟის რეჟისორი, დოკუმენტური ფილმი სასწრაფო და გადაუდებელი მედიცინის შესახებ/

2011 “გული”/რეჟისორი, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ადამიანების დამოკიდებულებაზე სიცოცხლესა და სიკვდილთან/

2007 „დეკლარაცია“ / რეჟისორი, დოკუმენტური ფილმი სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ/

2005 „ახლოს, და თან შორს“ / რეჟისორი, დოკუმენტური ფილმი სოციალური თერაპიის სახლის შესახებ/

**პუბლიკაციები, მონაწილეობა ფესტივალებში, კონფერენციებში, სწავლებაში:**

2022 Doc Leipzig, documentary film production market
2022 Baltic to Black Sea Documentary Network
2018 ჰააგა ჰელიას უნივერსიტეტი, Erasmus teaching experience, მულტიმედიური თხრობის კურსი.
2014 მონაცემთა ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო, რედაქტორი

დანართი №2

**ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ**

| № | სახელი და გვარი | სტატუსი | სასწავლო კურსი |
|---|---|---|---|
| 1 | დინარა მაღლაკელიძე | პროფესორი | მსოფლიო კინოს ისტორია 1<br>მსოფლიო კინოს ისტორია 2 |
| 2 | ანანო ასპანიძე | მოწვეული ლექტორი | ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება |
| 3 | დიმიტრი ჩიკვაიძე | მოწვეული ლექტორი | ფოტოგრაფია / Adobe Photoshop |
| 4 | მირიან ყენია | მოწვეული ლექტორი | ფოტოგრაფია / Adobe Photoshop<br>ლაბორატორია: ვიდეო არტი და მონტაჟი / Adobe Premiere Pro<br>ლაბორატორია: Adobe Illustrator / Adobe After Effect |
| 5 | საბა ხერგიანი | მოწვეული ლექტორი | პროექტის მართვა |
| 6 | სოფიო ჩერქეზიშვილი | პროფესორი | ლაბორატორია: ვიდეო არტი და მონტაჟი / Adobe Premiere Pro |
| 7 | დავით მაკარიძე | ასოცირებული პროფესორი | სახელოსნო: კიბერკულტურა<br>კომპიუტერული არტი<br>სახელოსნო: ტრანსმედია პროექტი |
| 8 | ETI თინათინ დგებუაძე | მოწვეული ლექტორი | ინგლისური 1<br>ინგლისური 2<br>ინგლისური 3<br>ინგლისური 4 |
| 9 | სოსო დუმბაძე | პროფესორი | არაკონვენციური კინოფორმები<br>სახელოსნო: არაკონვენციური კინოფორმები<br>ამბის თხრობის სტრატეგიები<br>კინომონტაჟის ასპექტები |
| 10 | ლალი პერტენავა | მოწვეული ლექტორი | თანამედროვე ხელოვნება |
| 11 | თინათინ ნაჭყებია | ასისტენტ პროფესორი | სახელოსნო: ვიდეო მინიატურა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | ელენე მარგველაშვილი | ასისტენტი | პროდუსირება1<br>პროდუსირება 2 |
| 13 | თამთა მანძულაშვილი | მოწვეული ლექტორი | ხმის დიზაინი 1<br>ხმის დიზაინი 2 |
| 14 | ომარ გელაშვილი | მოწვეული ლექტორი | საოპერატორო ხელოვნება 1 |
| 15 | ნიკა წიკლაური | მოწვეული ლექტორი | საოპერატორო ხელოვნება 2 |
| 16 | ლევან ნანობაშვილი | მოწვეული ლექტორი | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი |
| 17 | ქეთევან მაჭავარიანი | ასისტენტ პროფესორი | მოკლე ფილმის წარმოება<br>სახელოსნო: მოკლე ფილმი |
| 18 | მანანა კვირკველია | პროფესორი | ლაბორატორია: მსახიობთან მუშაობა |
| 19 | ეკა ჭაბაშვილი | მოწვეული ლექტორი | მუსიკა კინოში |
| 20 | ნინო ორჯონიკიძე | პროფესორი | დოკუმენტური კინოს ტრენდები |
| 21 | ლევან კუხაშვილი | მოწვეული ლექტორი | პოსტპროდუქცია 1<br>პოსტპროდუქცია 2 / ფერის კორექცია |
| 22 | ელენე ასათიანი | ასისტენტ პროფესორი | სახელოსნო: ტრანსმედია პროექტი<br>კოლოქვიუმი |
| 23 | ნინო წიქარაძე | მოწვეული ლექტორი | სცენარის წერის ტექნიკა<br>სახელოსნო: სცენარი |
| 24 | ნანა იოსელიანი | ასისტენტ პროფესორი | სცენარი და კადრირება / მხატვრობა კადრირებისთვის |
| 25 | ქეთევან ქავთარაძე | მოწვეული ლექტორი | შემოქმედებითი მეწარმეობა |
| 26 | ვანო არსენიშვილი | მოწვეული ლექტორი | სახელოსნო: დოკუმენტური ფილმის წარმოება |
| 27 | ანა ძიაპშიპა | მოწვეული ლექტორი | სახელოსნო: დოკუმენტური ფილმის წარმოება |
| 28 | მარგო ზუბაშვილი | ასოცირებული პროფესორი | კინოწარმოების მენეჯმენტი<br>სახლოსნო მოკლე ფილმის წარმოება |
| 29 | ნინო ჯაფიაშვილი | პროფესორი | ციფრული თხრობა |
| 30 | ლევან ბერძენიშვილი | მოწვეული ლექტორი | შესავალი მითოლოგიაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | თანამედროვე აზროვნება |
| 31 | ირაკლი ხვადაგიანი | მოწვეული ლექტორი | საქართველო – უახლესი ისტორიის პროცესები |
| 32 | სალომე სხირტლაძე | ასოცირებული პროფესორი | შემოქმედებითი აზროვნების საფუძვლები<br>სცენარი და კადრირება / მხატვრობა კადრირებისთვის<br>კინო - მხატვრობა |
| 33 | მაგდა ფანჩულიძე | მოწვეული ლექტორი | გერმანული |
| 34 | თინათინ ზანძელაძე | ასისტენტ პროფესორი | კომუნიკაციის ფსიქოლოგია |
| 35 | თამარ ჩხაიძე | მოწვეული ლექტორი | შესავალი ფსიქოლოგიაში |
| 36 | ელენე მურჯიკნელი | მოწვეული ლექტორი | ანიმაციური თხრობა |
| 37 | ნიკოლოზ აბუაშვილი | პროფესორი | მარკეტინგის საფუძვლები |
| 38 | ირინე ჯორჯაძე | მოწვეული ლექტორი | საფესტივალო და საგამოფენო სტრატეგია<br>ვიდეო ინსტალაცია და expanded cinema |
| 39 | დიანა ლეჟავა | მოწვეული ლექტორი | აკადემიური წერა |
| 40 | მარიამ ნოზაძე | მოწვეული ლექტორი | მედიასემიოტიკა და ვიზუალური სემიოტიკის საკითხები |
| 41 | თათია დვალი | მოწვეული ლექტორი | ვიზუალური ანთროპოლოგია |
| 42 | არჩილ ხეთაგური | მოწვეული ლექტორი | საფესტივალო და საგამოფენო სტრატეგია |
| 43 | ილეანა სტანცულესკუ | მოწვეული ლექტორი | საფესტივალო და საგამოფენო სტრატეგია |
| 44 | თიკო ცომაია | პროფესორი | შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიები |